

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 30 იანვრის სხდომის

ოქმი N 2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 30 იანვარს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 31. კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. 2018 წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ
2. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში
3. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – 2018 წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიაშვილმა აღნიშნა, რომ ანკეტა-კითხვარი წინასწარ დაეგზავნათ პროგრამის ხელმძღვანელებს განსახილველად. ცვლილება შევიდა ფიზიკის პროგრამისთვის გამოყოფილ ადგილების რაოდენობაში, ასევე დაემატა ადგილები ახალი პროგრამისთვის „წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა“ (იხ. დანართი 1).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის 2018 წლის ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიაშვილმა ისაუბრა სასწავლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების შესახებ. კერძოდ, ცვლილებები წარმოდგენილი იყო საბაკალავრო პროგრამაში „მათემატიკა“, სამაგისტრო პროგრამებში „მათემატიკა“, „კომპიუტერული მეცნიერება“, „ქიმია“ და „ბიოლოგია“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სასწავლო პროგრამებში წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების საკითხი.

გაიმართა ღია კენჭისყრა. მომხრე - 31, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0,

დაადგინეს: დამტკიცდეს შემდეგი ცვლილებები სასწავლო პროგრამებში:

ცვლილება საბაკალავრო პროგრამაში „მათემატიკა“. მათემატიკის სპეციალობის არჩევითი საგნების მექანიკის ბლოკს დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსი „თეორიული მექანიკა“, რიცხვითი ანალიზისა და გამოთვლითი ტექნოლოგიების ბლოკს - „ჯგუფური პროექტი - გამოთვლითი მათემატიკური მოდელირება“. სანაცვლოდ არ გააქტიურდება ზემოაღნიშნული ბლოკების თითო სასწავლო კურსი.

ცვლილებები სამაგისტრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსს „დაპროგრამების ენების შედარებითი ანალიზი“ შეეცვალოს ფორმატი 45/80, 1/2/0/0, 1 ლექცია + 2 პრაქტიკული მეცადინეობა ფორმატით 30/95, 1/0/0/1, 1 ლექცია + 1 სემინარი, ხოლო ლექტორი კონსტანტინე ცისკარიძე შეიცვალოს ირინა ხუციშვილით; არჩევით სასწავლო კურსში „ინფორმაციის მოძიების თანამედროვე მეთოდები“ გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი 30/90 30/95-ით.

ცვლილებები სამაგისტრო პროგრამაში „მათემატიკა“. პროგრამის მოდულის „ალბათობის თეორია და სტატისტიკა“ არჩევითი სასწავლო კურსის „სტოქასტური ფინანსური მათემატიკა (დისკრეტული დრო)“ სახელწოდება შეიცვალოს სახელწოდებით „სტოქასტური ფინანსური მათემატიკა (უწყვეტი დრო)“. მცირედ განხორციელდა სილაბუსის მოდიფიცირება.

ცვლილებები სამაგისტრო პროგრამაში „ქიმია“. მე-6 მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსს „ბიოპოლიმერების ქიმია“ შეეცვალოს სასწავლო სემესტრი, კერძოდ გაზაფხულის სემესტრიდან გადატანილ იქნას შემოდგომის სემესტრში. სანაცვლოს იმავე მოდულის არჩევითი სასწავლო კურსი „ბიოორგანულ ნაერთთა კვლევის მეთოდები“ შემოდგომის სემესტრიდან გადატანილ იქნას გაზაფხულის სემესტრში.

ცვლილება სამაგისტრო პროგრამაში „ბიოლოგია“. დაზუსტდეს ბიოქიმიის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსის სახელწოდება - „მაკრომოლეკულების ქიმია“ შეიცვალოს სახელწოდებით „პროტეინების ქიმია“.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები.

ა) დოქტორანტიისთვის დამატებითი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან აღნიშნა, რომ ქიმიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისგან შემოსულია წერილი დოქტორანტ გურანდა ავქოფაშვილისთვის სადისერტაციო ნაშრომის დამატებითი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ. კერძოდ, დოქტორანტ გურანდა ავქოფაშვილს სადისერტაციო ნაშრომის „ტექნოგენურად დაბინძურებულ ნიადაგებზე მძიმე ლითონთა ფიტომიგრაცია“ სამეცნიერო ხელმძღვანელებად დარჩნენ ქ.მ.დ., პროფესორი რამაზ გახოკიძე და ფიზ.მათ.მეცნ. დოქტ. ალექსანდრე ღონღაძე და დაემატა დოქტორი გარი

მილსი, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელი (იხ. დანართი 2 - შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს დოქტორანტ გურანდა ავქოფაშვილისთვის სადისერტაციო ნაშრომის დამატებითი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: „ქიმიის“ პროგრამის დოქტორანტ გურანდა ავქოფაშვილს სადისერტაციო ნაშრომის „ტექნოგენურად დაბინძურებულ ნიადაგებზე მძიმე ლითონთა ფიტომიგრაცია“ სამეცნიერო ხელმძღვანელებად დარჩნენ ქ.მ.დ., პროფესორი რამაზ გახოვიძე და ფიზ.მათ.მეცნ. დოქტ. ალექსანდრე ღონღაძე, ამასთან დაემატა დოქტორი გარი მილსი, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ბ) სამაგისტრო ნაშრომის თემის დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრის, გიორგი პოპოვის სამაგისტრო ნაშრომის თემის დამტკიცების შესახებ. თემის სათაურია "ნიადაგში გრიგალური დენების განაწილების შესწავლა" ("Study of eddy current distribution in soil"); ხელმძღვანელია ასოცირებული პროფესორი დავით კაკულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრის, გიორგი პოპოვის სამაგისტრო ნაშრომის თემა "ნიადაგში გრიგალური დენების განაწილების შესწავლა" (ინგლისურად - "Study of eddy current distribution in soil").

მოისმინეს:

გ) საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადამუშავებული დებულების შესახებ. საკითხის ირგვლივ ისაუბრა საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ დებულების მიმდინარე, კორექტირებულ ვერსიაში გათვალისწინებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ ადრე გამოთქმული ბევრი შენიშვნა. თუმცა, მიუხედავად ამისა, დებულების ზოგიერთი პუნქტი მაინც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას ფაკულტეტის საბჭოს წევრთა შორის.

პროფესორმა ნ.შათაშვილმა, რომელიც საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, ითხოვა საბჭოს მიმდინარე საკითხებში განეხილა მის მიერ 23 იანვარს გამოგზავნილი კომენტარები და შესწორებები საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დოკუმენტებთან მიმართებაში. წერილშივე იგი აღნიშნავდა, რომ 15 კაციან სადისერტაციო საბჭოში თსუ 7 ფაკულტეტიდან და 18 სამეცნიერო ინსტიტუტიდან შესაძლებელია არც კი

მოხდეს ფაკულტეტის/ინსტიტუტის (და შესაბამისად კონკრეტული დარგის) წარმომადგენელი, რასაც სერიოზულ პრობლემად მიიჩნევს სადოქტორო ხარისხის მიმნიჭებელი ორგანოსათვის.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა დ.ძიძიგურმა. მან აღნიშნა, რომ მთლიანად ეთანხმება პროფესორ ნ.შათაშვილის შენიშვნებს, განსაკუთრებით კი შენიშვნას საბჭოს ფორმირების წესთან დაკავშირებით. აზრი გამოთქვა პროფესორმა გ.ღვედაშვილმა. კერძოდ, აღნიშნა, რომ როცა ვსაუბრობთ საბჭოს წევრთა რაოდენობაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თსუ-ში არსებობს რამოდენიმე ერთნაირი პროფილის ინსტიტუტი, ფაკულტეტი თუ დეპარტამენტი. შემდეგ მან, დებულებიდან გამომდინარე, მთელი რიგი განმარტებები გააკეთა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიასთან და დაცვის პროცედურასთან დაკავშირებით. ასევე ისაუბრა სადისერტაციო საბჭოზე, როგორც საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოზე, სქემატურადაც ახსნა ეს მოდელი. ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ამ მოდელს უპირატესობა მიენიჭა იმიტომ, რომ დაფიქსირდა პლაგიატის რამდენიმე შემთხვევა, როცა შესაბამისი დისერტაციის დაცვა და ხარისხის მიანიჭება მოხდა დარგობრივი საბჭოზე.

აზრი გამოთქვას პროფესორებმა ა.შენგელაიამ, ა.გამყრელიძემ, კ.გელაშვილმა, ნ.დორეულმა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი

